



პროვინციული თავისუფლებების გზით — პროვინციული თავისუფლებებისაკენ!
პროვინციული თავისუფლებების გზით — პროვინციული თავისუფლებებისაკენ!

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №63 (1573) 26-28 ივნისი, 1997 წელი
გამომცემი: საზოგადოებრივი გამომცემლობა „საქართველო“



ზვიად გამსახურდიას ჰეროიკული პრეზიდენტის იღუმენტებით მოხუცად აღსასრულზე იწყებს ლაპარაკს

მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ზვიადის ბურთაშვილის ბაზაზე გაზეთების წყალში ჩაუყარა ავაბი...



„მსოფლიოში არცერთი პრეზიდენტის ოჯახი ისე სასტიკად არ დაურბევიათ, როგორც ჩვენი ოჯახი დაარბიეს დაწერეთ ამის შესახებ და აცნობეთ ყველას.“ — განუცხადა პრაიმ-ნიუსს პირველი პრეზიდენტის ქვრივმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ, რომელიც გუშინ ეწვია გამსახურდიების საგვარეულო კოლხურ კოშკს, სადაც მას 50-მდე ადამიანი ელოდა. მანანა არჩვაძე-გამსახურდია იქ მყოფთ გაძარცვულ, ჭუჭყიან და ნაგვით საესე ოთახებს აჩვენებდა. მისი თქმით, კოლხური კოშკიდან უამრავი ნივთი დაიკარგა, მათ შორის — გრიგოლ რობაქიძის ნაწილობრივი ბუხარი, რომლის ადგილას მხოლოდ დამწვარი აგურები ეყარა. „ქეთილი იყოს შენი ფეხი საქართველოს მიწაზე“ — ცრემლმორეულია ჩაიკრა გულში ერთმა ქალბატონმა ზვიად გამსახურდიას გაუი ცოტნე. მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ უკანონო სტატუსთან საუბარზე უარი განაცხადა. „მე არ ვცნობ თქვენს პრესას, რადგან რეგისტრირებული ხართ უკანონო ხელისუფლების იუსტიციის სამინისტროს მიერ, რომელსაც გაზეთის დამისახველვით, რომელმაც ობიექტურად გამოფინა ჭეშმარიტ-

ბა სააშკარაზე, თქვენ, ფაქტიურად, შეეარდნადის მსახურები ხართ.“
პრესა ზვიად გამსახურდიას ფოტო-სურათებით ცდილობს ფულის გაკეთებას გეოლოგიის მისი ფოტოების პირველ გვერდზე ტრიალი პირველი პრეზიდენტის უნიკალური სურათები, რომლებიც ხშირად იბეჭდება გაზეთებში, კოლხური კოშკიდან არის წაღებული.“
პრესით უკმაყოფილო მანანა არჩვაძე იხილავს ივარაუდა, რომ მის შესახებ „დაწერენ ათას საზიზღრობებს“. მაგალითად, „მანანა არჩვაძე შეეარდნადეს და სპეცსამსახურებს უთანხმებს საქართველოში ჩამოსვლას.“ — დასძინა მან.
„მე ვაცხადებ: ჩემს საქმიანობას, ჩემი მეუღლის, ზვიადის გარდა არავის ვუთანხმებდი. რაც შეეხება საქართველოში ჩამოსვლას, მე არაფრის არ მეშინია და თუ შეეარდნადე ტყვიას მესვრის, მესროლოს, — არ მეშინია“ — თქვა ექს-პრეზიდენტის ქვრივმა.
პრეზიდენტის ქვრივს დაეგემილი აქვს შეხვედრის ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებს.
ნანა მიქაელაშვილი.
პრაიმ-ნიუსი

„ღვლიანების დღეების ჩხრეკა არც სოციალისტურ პარტიას და არც მოქალაქეთა კავშირს არ უნდა აქლავდეს ხელს“

„სოციალისტების განცხადება საპარლამენტო კომისიის მიერ დეალიზაციის მოღვაწეობის შესახებ გამოტანილი დასკვნის შესახებ სიტყვა“ — განუცხადა პრაიმ-ნიუსს საჭარტველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ვიკტორიამ რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ.
1993 წელს ელვარდ შევარდნაძის ინიციატივით შექმნილმა დროებითმა საპარლამენტო კომისიამ, რომელსაც თემურ ბასილია თავმჯდომარეობდა, გამოიძია ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. ეროვნულ ბანკს იმ დროს დემურ დვალისვილი ხელმძღვანელობდა, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ვახტანგ რჩულიშვილის მიმდევარი სოციალისტები კომისიის დასკვნის გასაიღმლოებას ამტკიცებენ, რომელზეც 26 პარლამენტარი, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები მუშაობდნენ და აცხადებენ, რომ „დეალიზაციის მიერ

უკანონოდ გაცემული კრედიტებით ახლანდელი მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები სარგებლობდნენ ფირმა „თრიალეთის“ მეშვეობით.“
„საკითხის ამ ფორმით წარმოღვანა მათი (სოციალისტების) და დანარჩენების პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს“ — აღნიშნა თემურ ბასილიამ.
მისი თქმით, „კომისიამ რამდენიმე თვის განმავლობაში მოამზადა დასკვნა, რომელშიც ეროვნული ბანკის მაშინდელი პრეზიდენტის დემურ დვალისვილის მიერ გატარებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში აღმოჩენილი სერიოზული დარღვევები დაფიქსირებული“.
მისი აზრით, დეალიზაციის კრედიტების ირგვლივ ატეხილი აურზაური მოქალაქეთა კავშირისა და სოციალისტური პარტიის დაპირისპირების შედეგია. „თუმცა, ეს არცერთ მთავანს არ უნდა აძლევდეს ხელს“ — აღნიშნა პრეზიდენტის მრჩეველმა. (პრაიმ-ნიუსი)

